# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1129

დამატების № 199

კვირა, 2 მარტი 1914 წ.





ქრისტე, მართა და მარიამი. ნახატი ე. ჰადერისა.



**ირ. ევდოშვილი** სოხუმში.
(გამობრუნების გამო).

# უამნი

დათრგუნვას მხოლოდ მონა მოთმენს,
მეც ხომ მონა ვარ მონათა შორის...
ბუნებავ ტკბილო, ბუნებავ ბრძენო,
ვისთვის დამკვიდრდა ერთად ქმნა ორის?!

დედაკაცს მონას, მაგრამ შემოქმედს
მტერთა დამიგმონ შემოქმედება—
ვის მივეკედლო?—სჯულისმდებელთა?—
ვისგან განდგომილს მსჯავრი მედება?!

არა, გამჩენო! შენთან წამოვალ!
მონას სხვა გზანი შემიკრეს კაცთა...
შენ, შემინახე, შენ ჩაიბარე!
ჩემი გულისთქმა და სულის განცდა.

**ბაბილინა.**

* * *

ლოცვად ვიდექ... ვსთხავზდი ფსალმუნს... ცის სიმშვიდე გულს
მესვენა!
მომესმოდა ცის მკვიდრთ მღერა, მე მესმოდა მათი ენა!
ბურჯი ვიყავ: ამ ჩემს მკერდზე ავუშენე ღმერთს ტაძარი
და მის მაღალ სამრეკლოზედ მე თვით ვრეკე დღე-ღამ ზარი!
გული სადი სადად სცემდა, არ მიფრთხობდა ძილსა ზრუნვა,
მნადიროდა—ვერ მიჭერდა თვის კლანჭებში მწარე ჭმუნვა!..

ვარდი შემხვდა...
თვალს ელვა მხვდა!
გადამბუგა ეშხის ალმა!
ცა მომტაცა
ქვეყნად დამცა
უცნობ გრძნობის ქარიშხალმა!!
გულო, გულო რა შმაგად სძგერ,
როგორ ღელავ, როგორა ჰქუხ!
სულო, ქნარზედ უტკბესად ჰღერ,
ვნებით ჰხარობ, ვნებითა სწუხ!..
რა მემართვის? ვერა ვბედავ
სუნთქვასაც კი! ვდგევარ მუნჯი!
ვაი დედავ, ვაი დედავ,
მტვრად რა უცბად იქცა ბურჯი!..
. . . . . . . . . . . . . . . . . . . .
გაჰქრა ტურფა!.. მოველ ცნობას
და წარმოვსთქვი მწყრალმა, კუშტმა:
„ფუი, ჩემსა ვაჟკაცობას,
ვით მომხიბლა საპნის ბუშტმა?!..“
ვსთქვი კი... მაგრამ იმ დღიდანა
არ ეკარვის თვალთა რული,
გაილესა სევდამ დანა,
დამიფლითა ბეჩავს გული!

ჩემსა ლოცვას სწვავს, აფეთქებს უცნაური, მწველი ალი,
ერთის წუთით მოვლენილსა მარად ეძებს ჩემი თვალი!..
მგლის მუხლები გამომება... დავძრწი ქვეყნად... ვეძებ იმ ქალს!
ახ, მითხარით, მანუგეშეთ, რომ მივაგნებ მე იმის კვალს!..
მის ამბავის გასაგონად ვამახვილებ ჩემსა სმენას,
ხარბად ვუგდებ ყურსა ნიავს, ფოთოლთა შრიალს, ფრინველთ
შტვენას,
ნაკადულის ნელსა დუდუნს, ხან ჩანჩქერის მოთქმა-დრტვინვას,
ხან სტიქიონთ ჰიმნს დიდებულს, ხან საზარელს მათსა გრგვინ-
ვას!
დავძრწი ქვეყნად... ვთეს სიმღერებს... გუნდრუკს ვაკმევ...
ვქმნი ფერადებს...
ვკოცნი და თან ცრემლით ვნამავ მის მზგავს ვარდებს... სურ-
ნელ ვარდებს!!..

**კ. მაყაშვილი.**



**კახეთის რკინის გზა.** ლოჭინის ხიდი. ტფილისიდან 17 ვერსის მანძილზე; მარტყოფისა და ნორიოს ბოლოს.

# შევჩენკოდან

მზე არ მათბობს უცხოეთში, შინა მწვავდა ცეცხლის გული,
ჩვენსა უკრაინაშიაც არ ვიყავი მხიარული.
ტკბილი ტრფობა და ალერსი არ მიგრძვნია მე, გულ-თალხსა,
მე ვცხოვრობდი მაწანწალად, გაურბოდი ჩემსავ ხალხსა.
უმეგობროდ და უმწეოდ გავკაფე გზა ცხოვრებისა,
უდაბნოდ ღმერთს ვლოცულობდი მაწყევარი პანებისა.
ვიგონებდი მარტოდ-მარტო იმ დაწყევლილ წარსულ დღეთა,
ქრისტე ღმერთი რო ჯვართ აცვეს უსირცხვილო, ბოროტ ძეთა.
ქრისტეს ეხლაც აწამებდნენ კვლავ რომ ჩაიგდებდნენ ხელთა...
მე ვერსად ვერ გავიხარე, ყველგან ვიყავ ერთგვარ ბედში,
თვით ჩემს ტურფა უკრაინად და შემხუთავ უცხოეთში.
ვინატრებდი მხოლოდ ერთსა, მომალხენდა მხოლოდ ისა,
მეკუბოეთ არ შეეკრათ ჩემთვის კუბო უცხო ხისა.
ვინატრებდი: მიწის სევდა წმინდა ქართა მუშკის მტვერად
ლაღ მინდორთა გარდმოვლენით, სამშობლოდან მოებერათ.
სანატრელი მცირედი მაქვს... მაგრამ ეჰ! სჯობს გულშივ მოკვდეს!
ღმერთი რისთვის შევაწუხო! ვიცი, რაც მსურს, მე არ მომცემს!

ი. მჭედლიშვილი.

# ...ხმას ეშმაკეულს

და იყო წამი... წამი ტანჯვის, ცრემლების დენის,
გაცალღოლება გვულის ენით, იმედის, რწმენის...
ცისკრის სხივები მწვავე ისრად ხვდებოდა გულსა,
ცხოვრების ველი მაგონებდა შავ-ბნელ უფსკრულსა...

—

გაშლილ ყვავილებს უხედავდი მხოლოდ მქკნარ ფოთოლს,
აჩრდილთა რხევა თვალს აკრთობდა დაბურვილ ტყეში;
ბულბულის ჰანგში მე უსმენდი ბუს, სულით ობოლს,
სიცოცხლის აზრი იწვებოდა გულის სიღრმეში...

—

ზეიმის დროსა სულს აკრთობდა კვნესა საზარი,
ირგვლივ ვხედავდი გოლგოთას-გოლგოთას წყეულს;
ოცნებაშია მეხატოდა წამების ჯვარი,
არ იტაცებდა შვების მღვიმე გონებას სნეულს...

—

ცის კამარაზე, მოციმციმე ვარსკვლავებ შორის,
მელანდებოდა ცელ გაშლილი სიკვდილის ზარი;
არ მწამდა ფიცი, ერთგულება სულისა სწორის,
ფიქრსა სწამლავდა ჯოჯოხეთის შავი ხარხარი...

—

მძულდა ყოველი... ვწყევდი სოფლის არარაობას,
ცივი სამარე მიზიდავდა ურწმუნოს, ეულს;
ნიავის ფრთებზე უგზავნიდი შემოქმედს გმობას,
ვემონებოდი ქვესკნელის ხმას, ხმას ეშმაკეულს...

კიკნა ფშაველი.



ტარას შევჩენკოს საფლავი.



ტარას შევჩენკოს ძეგლის პროექტი მოწონებული.

# მიმოზა

(დასასრული *)

**30 ივნისი.**

იცოდი, თუ მიმოზა სახელად ყვავილებს და მცენარეებს ეწოდებოდა. მე ეხლა გავიგე, თურმე, თვით ჩემ ფანჯარის წინ ყოფილა მიმოზის ხე. შეღამებისას ვით დაღლილი ხუჭავს თვალებს. სერემაგდონიდან წერილი მივიღე, მევედრება შებრალებას და თან დასძენს, თავს მოვიკლავ თუ არ მაღირსებ შენს სიყვარულსო. უგნური! ეგეთ ვედრებით ვინ ააღელვებს ასულის გრძნობას? ერთი ახალგაზრდა ვაჟი გვეწვია სტუმრად, მეტად ამპარტავანია, ჩემთან რაღაც გულ-გრილობას იჩენს, სულ ბიცოლას ახლო სცდილობს იყვეს. ხან და ხან მგონია კიდეც, რომ შეყვარებულნი არიან. ბიძია ისევ ავადმყოფობს. რაღაც გული მიღონდება, როდესაც მას მეუღლესთან ერთად ვხედავ. ბიძია უკვე ღრმად მოხუცებულია, მისი მეუღლე კი ახალგაზრდა ქალია, ეთუოდ ბიცოლა უბედურია, ასეთი მოხუცებული ქმარი რომ ჰყავს. ვერ წარმოიდგენ რა რიგ მიყვარს ეს ადამიანები, მშობლებს ვუწოდებ, დედ-მამას ვეძახი, ბიცოლა ჯავრობს ამ სახელს, აბა წარმოდგენაც კი ძნელია, ისინი რომ არ მზრდიდნენ, რა მეშველებ? მშობლები არც კი მახსოვს, ისე ადრე გამოვესალმე. თუ კეთილ ბიძას არა, ვის უნდა ეზრუნა ჩემთვის!

**5 ივლისი.**

ქაფისგან რძესავით გათეთრებულ ჩანჩქერის ქვეშ ვბანაობდი, ვით ამაყი გედი. როდესაც ნაპირზე გამოველ ტანთ ჩასაცმელად მხოლოდ, მაშინ შევამჩნიე მაღალ კლდიდან გადმომდგარი სერემაგდონ. სწორედ მიკვირს, როდის და რა გზით გაჩნდა აქ. სახლისაკენ მივეშურებოდი, გადამეღობა წინ და, საკვირველ თვალთა გამომეტყველებით, მთრთოლვარე ხმით შემომძახა:

— მიმოზა!
— რა გსურს?
— შენი ხელით სიკვდილი, აჰა, ხანჯალი!
— უგუნური მოსაზრებაა! ჩამომეხსენი!!!
— მიმოზა, არ გებრალები?
— გზა მეთქი!—შევძახე განრისხებით. საბრალოს თვალები ცრემლით აევსო. რა უყო ამ სულით უძლურს? რაღაც სევდა მიღრღნის გულს, მწვავე ფიქრები არ მაძლევს მოსვენებას. ეს პირველი მწუხარებაა, რომელიც მიღრღნის გულს, მსურს ვირწმუნო, რომ ღირსია სიყვარულისა და სიბრალულის, მაგრამ ამაოდ, როგორ მოვიქცე? რაღაც წინასწარი გრძნობა მამცნობს, რომ ის ტანჯვის მომგვრელად აგდევნებია.

**15 ივლისი.**

დადგა დრო მწუხარებისა. ვეღარ მიიღებ მეგობრისაგან მხიარულ შინაარსის წერილებს. სამუდამოდ მოსწყდა ბავშვური ღიმილი შენს მეგობრის სახელს, მთელი სხეული მითრთის,

---

*) იხ.) სურათებიანი დამატება № 198.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით კაცის მკვლელს, ზინა! მანუგეშე, თუ ძალგიძს. გაუძლებს ესდენ ტანჯვას საბრალო მიმოზა? ვსწყევლი მას. მისი სულმოკლეობა, მისი სისუსტე იყო ყოველივე ამის მიზეზი, მაგრამ ხასიათით სუსტი ადამიანი გაბედავს თავის მოკვლას? განა ამასაც ერთგვარი სულის სიმტკიცე არ სჭირდება? მწყემსებმა იპოვეს ტყეში გახრწნილი გვამი, ვერ გაუგიათ, ვინ არის საბრალო თავის მკვლელი, მე კი ვიცი ის უთუოდ სერემაგდოა. უთუოდ, მე ვგრძნობ ამას. ნუ გამკიცხავ, მეგობარო, რა ვქნა! რა ვქნა!?

### 27 ივლისი.

გმადლობ ნუგეშისათვის, მაგრამ როგორ !მივეცე თავდავიწყებას, როდესაც ტანჯვა ტანჯვას სცვლის? გახსოვს, მე გწერდი ახალგაზდა ვაჟი გვესტუმრა მეთქი. ბიცოლას საყვარელი ყოფილა მართლა. ჩემის თვალით ვიხილე, როგორ შეიპარა მის ოთახში, დიდხანს მესმოდა მათი საუბარი.

— დევან! სიკვდილამდის გვეყვარება ერთმანეთი? რა ვქნა! აღარ ძალმიძს შენი დაშორება.

— არც დაგშორდები.

— იცი რა! ჩემი მაზლის ასული არ უნდა იყვეს ულამაზო.

— მშვენიერებაა!

— მაშ, რა გიშავს ცოლად შეირთო? გადაიწერე ჯვარი მიმოზაზე და ჩვენ ორივენი შენი ვიქნებით, ეჭვსაც არვინ აიღებს ჩვენს სიყვარულზე.

გესმის, რას მიპირებენ?!.. მე უნდა გავხდე მისი საყვარლის მეუღლე, რათა თავისუფლად სიყვარული შესძლონ.

ხაბრალო ბიძა! შენ გძინავს ეხლა? ჰხედავ? შენი მეუღლე მსხვერპლად სწირავს საბრალო მიმოზას, გარყვნილების ღმერთს. ბიძია! ბიძავ! არ გესმის, მათი კოცნა-ალერსი? ჰხედავ, ზინა! რა რიგ სჯის ბედი საბრალო მიმოზას? ყოველივე წუთიერ მხიარულებაში, რაც დღემდე მარგუნა დაუნდობელმა ცხოვრებამ, ტანჯვით ჰსურს მაზღვევინოს. ოჰ, სადა ხარ სიკვდილო! ნუ მისცემს უფლებას აწამონ უძლური ბავშვი!

### 30 აგვისტო.

უკვე ეპირებიან თვის განზრახვის სისრულეში მოყვანას. დევანი ხშირად დასეირნობს ჩემთან და სიყვარულს მეფიცება, საზიზღარი! ბიძას უამბო ყოველივე? მაგრამ დაიჯერებს? და თუ დაიჯერა, გაუძლებს ამ გვარ დამცირებას, ღალატს?! ხვალ დილით მივდივართ ამ აგარაკიდან. ბიძიაც თანახმაა დევანს გავყვე ცოლად. სასწავლებელში აღარ მიშვებენ. უცდიან მხოლოდ ჩემს გადაწყვეტილებას, მაგრამ მიმოზა უგუნური ბავშვი აღარ არის, ვერას დროს ვერ ეღირსებიან ჩემს თანხმობას.

### 5 ოქტომბერი.

რა ბედნიერი ვარ! სერემაგდონი ცოცხალია, გესმის? ჩემის თვალით ვიხილე. აღტაცებით შევეგებე. უამბე ყოვლისფერი, თუ როგორ ვფიქრობდი, რომ მან თავი მოიკლა... უამბე აგრეთვე ჩემი მდგომარეობა.

— მიმოზა! ვამხადე ღირსი შენი მეგობრობის! წავიდეთ აქედან შორს, შორს გავშორდეთ ამ ულმობელ საზოგადოებას.

აი, რა მითხრა მან და არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

### 15 ოქტომბერი.

ვეღარ ავიტან ამ ბრძოლას. დღეს ბიძამ დამიბარა თავის ოთახში და გათხოვების შესახებ მესაუბრებოდა. ვერ მოვითმინე არ წარმომეთქვა ის, რაც გულს მიღრღნიდა: უამბობდი გაფითრებულ ბიძას დევანის უმზგავსო მოქმედებას. ამ დროს შემოვიდა მისი მეუღლე, მტაცა თმაში ხელი და სასტიკად მცემა.

— ოჰ, შე უნამუსოვ, ვიღაც ქუჩის მაწანწალას გსურს გაჰყვე ცოლად და რომ პატიოსან ადამიანს არ მიგათხოვონ, ვის სწამებ ცილს.

ვინ დასთვლის იმ ცრემლებს, რამოდენიც უღვთოდ დავღვარე. სწვიმს, ელვა ქუხილია, ჩამონადენი წყლის ჩხრიალი ყრუდ გაისმის. ჩქარი ელვა ჯოჯოხეთურ შუქით ანათებს, ძალზე გრგვინავს და უსიამოვნო გოგირდის სუნი ტრიალებს... ოჰ, ვინ დამიბრუნებს წარსულ წუთებს ნეტარებისას. ვიცოდი, რა იყო ტანჯვა როდესაც ამის მზგავს ღამეს აღტაცებით ვკითხულობდი „დეკამერონს“?? ვიცი, ეხლა ის გველივით შემოხვევია ბიძას და არწმუნებს, რომ პატიოსანი მეუღლეა მისი. განა უგუნური ჩაიდენს იმოდენ ბოროტებას, რამოდენსაც გაწრთვნილი გონიერი?

### 20 ოქტომბერი.

გადასწყვიტეს ძალად შემაუღლონ დევანთან. და ამ გვარად, როდესაც საქორწინოდ გამზადებულ სარეცელზე ქალწულებას მომტაცებს, სჯიჯგნის ჩემს სხეულს და როდესაც დაღლილ დაქანცულს ჩამეძინება, ის ფეხ-აკრეფით უნდა გაიპაროს და მის სარეცელზე დაიწყოს შმუშვნა. მაგრამ მზადა ვარ, პირველ შემხვედრ უმზგავსო მახინჯს ვაჩუქო ჩემი უმანკოება, ვიდრე მათი სურვილი აღვასრულო. დღეიდან ვერსად და ვერას დროს ვერ იხილავენ ისინი მიმოზას.

მშვიდობით, ჩემო სამშობლო, სადაც ცხოვრებით გათამამებული ვატარებდი მხიარულ წუთებს, მშვიდობით, გულითადო მეგობარო ზინა! მშვიდობით, საათი ყრუდ რეკს. უკვე დროა. რკინის გზის სადგურზე მელოდება სერემაგდო. მთვარე მოსცილდა ფანჯარას, თითქოს მიხმობს გავყვე მის სხივს. გრილი ნიავი სცდილობს ჩემ აღელვებულ გულის დამშვიდებას. ხის ტოტები რხევით მიძღვნიან უკანასკნელ სალამს. მშვიდობით!

### ქ. ტულუზო. 18 აგვისტო.

ზინა! ერთმა წელმა განვლო, რაც წერილი არ მომიწერია. მალე დედა ვიქნები და უსაზღვრო მხიარულება მეუფლა, ამ მოლოდინში მხოლოდ სერემაგდოს ემჩნევა დაღონება, ფული შემოგვაკლდა და ბავშვის მომავალი მაფიქრებსო. მაღონებს სამშობლოს დაშორება. მინდა დავბრუნდე, მაგრამ სერემაგდო უარზეა. სამშობლო დამცირებისა და შეურაცყოფის მეტს არას გვაღირსებსო. დავიჯერო, ესეთი გულ-ცივია ჩემი სამშობლო?

### 13 იანვარი.

თუ გებრალვის, კვალად სტიროდე ბედკრულ მეგობარს. სახე გამხდარი, ფერ მიხდილი ის დაეხეტება სამოწყალებოდ ხელ-გაშვერილი ტულუზოს უბნებში. არ მიმითვისა ბნელმა სამარემ, სიკვდილის მწარ წუთებს მხოლოდ იმიტომ ვყავდი შეპყრობილი, დაეკარგა ჩემთვის სიტურფე, ჯანმრთელობა და მოეცა მეორე არსება, რომლის სიყვარულმა ისედაც გამწარებული დღენი ჯოჯოხეთად უნდა გარდამიქმნას. სერემაგდომ მიღალატა, გაჰქრა სადღაც, ვით მეტეორი. მცირე ფულიც არ დაუტოვებია ჩემთვის. სად ვეძიო მოღალატე, რომ ჩემის ბრჭყალებით ამოვგლიჯო გული. ეხლა მივხვდი; მან მხოლოდ თვისი ვნების დასაცხრომად დამიხსნა დევანის კლანჭებიდან. დარწმუნდა, რომ ძეობაზე ავადმყოფობა სილამაზეს მომტაცებდა და გაიქცა ჩემგან. უსირცხოდ ვთხოულობ მოწყალებას. თავი არ მებრალება, დიდხანს ვერ გაუძლებ ამ მომაკვდინებელ ტანჯვას, მაგრამ რა ეშველება ბავშვს, როგორ ზიდოს წამების ჯვარი? სად არის საზიზღარი სიკვდილი, როდესაც შიმშილით გამწარებული ბავშვი რძესა მთხოვს და ცარიელ ძუძუებს ვჩრი პირში, სად არის, სად, რომ ორთავეს არ გვიმზადებს საფლავს უცხო მხარეში. ღმერთო, რად მოფარგლე ამ საშინელ მდგომარეობაში ჩემი ცხოვრება? ზენაარო! რით დაიმსახურე სახელი მართლ-მსაჯულისა? მშვიდობით. ნუ დაგაღონებს ჩემი წერილი. ვისაც კაცობრიობამ განუმზადა წამების ჯვარი, ვისი გრძნობაც შებღალა და ფეხით გათელა, მას ვერ იხსნის ერთად-ერთი გულწრფელი მეგობარი.

### 3 მაისი.

ნუ გაგანცვიფრებს ეს უკანასკნელი წერილი, როდესაც ამოდენი ტანჯვა მოულოდნელად მომევლინა. ესეც მოსალოდნელი იყო.

ღონე მიხდილი, უსიცოცხლო, ჩონჩხებს დამზგავსებული, ვგდივარ საპატიმროში. შიმშილით გამწარებულმა მოვიმოქმედე ის, რასაც ადამიანები ქურდობას უწოდებენ. დარწმუნებული ვარ, ამ საკანში ამომხდება ტანჯული სული და გავთავისუფლდები, მაგრამ რა მოელის შვილს? მხოლოდ ეს ფიქრი არ მომისვენებს სამარეში. ვინ შეიბრალებს, ვინ ანუგეშებს ცხოვრების გერს, ქუჩისშვილს. ზენაარო! სიკვდილი არგუნე მასაც, სიკვდილი! ვიდრე ცხოვრებას გაეცნობოდეს, ამაზე უკეთეს ვერას უსურვებ.

გიძღვნი უკანასკნელ სალამს, სალამი ჩემს სამშობლო მთების კალთებს.

ღიმილით ველოდები სიკვდილს, ის მე მიბრალებს, მაგრამ შვილს, უსუსურ ბავშვს, ჩემი სხეულის ნაყოფს, ვინ შეიბრალებს?

**მიხ. ბოჭორიშვილი.**

ტფილისი, მუხრ.ნის ქუჩა. სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი. გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.